18

ხელშეკრულება № 176
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.ბათუმი „18" „10" 2011წ.

ერთის მხრივ, შპს „მეგრულ-ლაზური 2"-ს, დირექტორის ნუკრი წოწონავას (შემდგომში „შემსრულებელი"), სახით და მეორეს მხრივ სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი" (შემდგომში „დამკვეთი"), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია, შემსყიდველის დაკვეთით შემსყიდველის მიერ მითითებული რაოდენობის ადამიანების (35 პერსონა) ვახშმით უზრუნველყოფა (CPV – 55300000).

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 გადახდა იწარმოებს ფაქტიური დანახარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს 1400.00 (ერთი ათას ოთხასი) ლარისა, რაც დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტით და ანგარიშფაქტურით.

3. ხელშეკრულების საფუძველი

3.1. საქართველოს კანონი „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";
3.2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი;

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევა ხდება ა.წ 21 ოქტომბერს;
4.2. მომსახურების გაწევის ადგილია დაბა მახინჯაური თბილისის გზატკეცილი №16.

5. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევა დასტურდება შესაბამის აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერით;

6. ანგარიშსწორების ფორმა ვადები და ადგილი

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ;
6.2 გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;
6.3. უნაღდო ანგარიშსწორება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
8.2. თუ რაიმე, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი მოსაზრებები წერილობითი ფორმით;
8.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების პარალელურად განახორციელოს ინსპექტირება, ხელშეკრულაბასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით;
9.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს დამკვეთის წარმომადგენელი;
9.3. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს;
9.4. დარღვევების აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორსმაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მისი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

11. დავის გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით;
11.2. ურთიერთშეთანხმებით დავის გადაჭრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია დავის გადასაჭრელად, დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შემსრულებელს არ აქვს ფასების გადასინჯვის უფლება, თუ იგი გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას;
12.2 შემსრულებელს არ აქვს უფლება დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისთვის უფლებების გადაცემა;
12.3 ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციებს;
12.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. ისეთ შემთხვევებში, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
13.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსრულებლს, მეორე კი დამკვეთს.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსრულებელი	**დამკვეთი**
შპს „მეგრულ-ლაზური 2"-ს დირექტორი	სსიპ „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-ს ხელმძღვანელი
---------- ნ. წოწონავა	---------- ა.დემეტრაშვილი
ს/ს "თიბისი ბანკის" ბათუმის ფილ.	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი 220101835	სახაზინო კოდი 0516
მიმღ.ანგ. GE40TB1021336020100005	საიდ/კოდი 204578242
საიდ/კოდი 248435983	ქ. ბათუმი მელაშვილის ქ. №26
დაბა მახინჯაური თბილისის გზატკეცილი № 16	